



ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ყოროლისთავსა და მასაურში მდებარე სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალმიმღებების სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი

2018

შპს „გამა კონსალტინგ“ ს/ა 404889714
საქართველო, 0192 თბილისი, დ. გურამიშვილ ძე გამზ. №17
“Gamma Consulting” Ltd I/C 404889714
17^A D. Guramishvili av. 0192 Tbilisi, Georgia
Tel: +(995 32) 261 44 34
E-mail: zmgreen@gamma.ge; gamma@gamma.ge;
www.gamma.ge; www.facebook.com/gammaconsultingGeorgia


ვამტკიცებ:

შპს „ბათუმის წყალი“-ს
დირექტორი

„____“ _____ 2018 წ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ყოროლისთავსა და მასაურში მდებარე სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალმიმღებების სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი

შპს „გამა კონსალტინგი“
დირექტორი



ზ. მაგლობლიშვილი

ქ. თბილისი, 2018 წ.

შპს „გამა კონსალტინგი“

სამუშაოების ხელმძღვანელი

 ა. ჯღამაძე

პროექტის მთავარი კონსულტანტი

 ვ. გვახარია


შემსრულებლები:


 ა. ჯღამაძე

 ვ. გვახარია

 ბ. ლევანიძე

 დ. სოზაშვილი

 თ. გვახაშვილი

 ა. მალაკველიძე

 ა. მიროტაძე

ტექნიკური დავალება

შპს „ბათუმის წყალი“

ტექნიკური დავალება სანიტარიული ზონების დადგენაზე შესყიდვის ობიექტი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავსა და სოფელ მასაურში მდებარე სასმელ-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალმიმღები სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონების (სდზ) საპროექტო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვა.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შემუშავდეს 4 ეგზემპლიარად და დაერთოს ელექტრონული ვერსია, რომელიც უნდა მოიცავდეს სრულ პროექტს წარმოდგენილს კომპაქტდისკზე, ჩაწერილს Gis ან Auto Cad პროგრამის ციფრული (ელექტრონული) ვერსიის სახით, ტექსტურ მასალას ჩაწერილს MS Word პროგრამის PDF ფორმატში.

პროექტის დამუშავება მოხდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტების მიხედვით. "წყლის კანონი"-ს თანახმად სდზ უნდა მოეწყოს 3 სართულად. რომელშიც შედის:

ა) ზონა და მისი შემადგენელი სართულების საზღვრის დადგენა;

ბ) სდზ-ს ტერიტორიების სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებებისა და წყაროს გაბინძურებისაგან დაცვის გეგმა;

გ) სდზ-ს სამივე სართულის ტერიტორიის, სამეურნეო გამოყენების რეჟიმი და წესები.

სდზ-ის პროექტის შემადგენლობაში შედის ტექსტი, კარტოგრაფიული მასალები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების პროექტი, გათვალისწინებული ღონისძიებათა ჩამონათვალით, რომელიც შეთანხმებულია მიწათმოსარგებლესთან.

კარტოგრაფიული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მოცულობით:

ა) სდზ-ს მეორე დამესამე სართულების საპროექტო საზღვრების არსებული მდგომარეობის გეგმა წყალსადების ადგილის, წყალსადენის ნაგებობების მოედნის, წყალმომარაგების წყაროსა და მისი კვების აუზის (შენაკადებთან ერთად) მინიშნებით, ზედაპირული წყალმომარაგების წყაროებისათვის - 1:50000 – 1:100000 მასშტაბით, მიწისქვეშა წყაროებისათვის - 1:10000 – 1:25000;

ბ) მიწისქვეშა წყალმომარაგების წყაროს შემთხვევაში - წყალსადების კვების რაიონის ფარგლებში, დამახასიათებელი მიმართულებების ჰიდროლოგიური პროფილი;

გ) სდზ-ის პირველი სართულის გეგმა 1:500 – 1:1000 მასშტაბით;

დ) გეგმა სდზ-ის პირველი და მეორე სართულების შესახებ 1:10000 – 1:25000 მასშტაბით მიწისქვეშა წყაროებისათვის და 1:25000 – 1:50000 - ზედაპირული წყაროებისათვის, მოცემულ ტერიტორიებზე განლაგებული ყველა ობიექტის აღნიშვნით.

სდზ-ის საზღვრების დასადგენად წყალმომარაგების წყაროების შესწავლის პროგრამით ზედაპირული წყაროებისათვის გასათვალისწინებელია ჰიდროლოგიური მონაცემები:

წყალსადების კვების აუზის ფართობი, ზედაპირული ნაკადის რეჟიმი, მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო ხარჯი, წყალსადების ადგილზე წყლის სიჩქარე და დონე, ყინულით შეკვრისა და გახსნის საშუალო ვადები, წყლის სავარაუდო ხარჯვა წყაროში, მონაცემები დინების მიმოქცევის დახასიათების შესახებ.

აუზის იმ ნაწილის საერთო სანიტარიული დახასიათება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს წყალსადების წყლის ხარისხზე.

აუზის გეოლოგიური აგებულება, ნიადაგი, მცენარეული საფარი, ტყეების, დამუშავებული მიწების, დასახლებული პუნქტების არსებობა.

სამრეწველო საწარმოები (მათი რიცხვი, ზომები, განლაგება, წარმოების ხარისხი).

მიზეზები, რომლებიც მოქმედებენ, ან შეუძლიათ იმოქმედონ წყალსატევის წყლის ხარისხის გაუარესებაზე წყაროს მდებარეობის ადგილის მყარი და თხიერი ნარჩენების მოცილების მეთოდები და ადგილი, წყალსატევების გამაბინძურებელი საყოფაცხოვრებო, სამრეწველო ნახშირი წყლების არსებობა, რაოდენობა, მათი გამწმენდი ნაგებობები, განლაგების ადგილები;

მანძილი ნახშირი წყლების ჩაშვების ადგილიდან წყალსადებამდე;

წყაროს გამაბინძურებელი სხვა შესაძლო მიზეზების არსებობა (ნაოსნობა, ხე-ტყის დაცულობა, პირუტყვის დარწყულება, ზამთრის ნაგავსაყრელები ყინულზე, ბანაობა, საწყლოსნო სპორტი, სამელიორაციო სამუშაოები, სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება სოფლის მეურნეობაში და სხვ.) წყალსატევის თვითგამწმენდის უნარის დახასიათება.

წყალმიღების განლაგების ზონის შესწავლა და დეტალური ტოპოგრაფიული გადაღება დამუშავება (დამკვეთთან წინასწარ შეთანხმებულ მასშტაბში. აღნიშნული სამუშაოებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას აერო ფოტო სურათები, ან/და ორთოფოტოები გადაღებული უკანასკნელ პერიოდში, რომელიც გადამოწმებული იქნება ადგილზე).

პროექტი უნდა შედგებოდეს საპროექტო დოკუმენტების სრული პაკეტისაგან, კერძოდ: საერთო განმარტებითი ბარათი; სიმაღლის იზოჰიფსის ნიშნულებით; ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები; გენერალური გეგმა სიმაღლის იზოჰიფსის ნიშნულებით;

ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში.

პროექტი უნდა ითვალისწინებდეს საკადასტრო ნახაზებსა და ინფორმაციას იმ ნაკვეთების მესაკუთრის/მესაკუთრეების შესახებ, სადაც პროექტის მიხედვით შესაძლებელია მოხდეს ზონებისათვის შემოსაღობი სამუშაოების მშენებლობა.

შემსრულებელმა გასაწევი მომსახურების შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

სარჩევი

ტექსტი

შესავალი.....	9
1. საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.....	10
1.1. ადმინისტრაციული მდებარეობა.....	10
1.2. ოროგრაფია.....	11
1.3. ჰიდროგრაფია.....	11
1.4. კლიმატი.....	12
1.5. ბიომრავალფეროვნება.....	13
2. რაიონის გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები.....	14
2.1. გეოლოგიური აგებულება.....	14
2.2. ჰიდროგეოლოგიური პირობები.....	14
3. სათავე ნაგებობების დახასიათება, წყლის ხარისხი.....	17
3.1. ყოროლისწყლის სათავე ნაგებობა.....	17
3.2. მასაურის სათავე ნაგებობა.....	18
3.3. ხალას სათავე ნაგებობა.....	19
3.4 სათავე ნაგებობების ზედაპირული წყლების ხარისხი.....	21
4. საკვლევი ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრების დადგენა.....	28
4.1. მეთოდოლოგია.....	28
4.2. სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრების დადგენა.....	28
4.2.1. სანიტარიული დაცვის I ზონის საზღვრები.....	28
4.2.2. სანიტარიული დაცვის II ზონის საზღვარი.....	29
4.2.3. სანიტარიული დაცვის III ზონის საზღვარი.....	29
4.3. საკვლევი ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები.....	30
4.3.1. სანიტარიული დაცვის I ზონა.....	30
4.3.2. სანიტარიული დაცვის II და III ზონა.....	32
5. წყალმომარაგების ზედაპირული წყაროების სდზ-ის ტერიტორიებზე გასატარებელი ღონისძიებები.....	40
5.1. სანიტარიული დაცვის I ზონა.....	40
5.2. სანიტარიული დაცვის მეორე და მესამე ზონებში გასატარებელი ღონისძიებები.....	40
5.2.3. მეორე სარტყელში გასატარებელი ღონისძიებები.....	41

6. დასკვნები.....	43
7. გამოყენებული ლიტერატურა.....	44

ნახაზები

ნახ № 1. ობიექტის მიმოხილვითი რუკა.....	10
ნახ № 2. საკლავო ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური რუკა. მასშტაბი 1:200000.....	15
ნახ № 3. ხალას სათავე ნაგებობის პირველი სანიტარიული დაცვის ზონის ტოპო გეგმა მასშტაბი 1:1000.....	34
ნახ № 4. ხალას სათავე ნაგებობების II და III სანიტარიული დაცვის ზონების ტოპო გეგმა მასშტაბი 1:50 000.....	35
ნახ № 5. ყოროლისწყლის სათავე ნაგებობის პირველი სანიტარიული დაცვის ზონის ტოპო გეგმა მასშტაბი 1:1000.....	36
ნახ № 6. ყოროლისწყლის სათავე ნაგებობების II და III სანიტარიული დაცვის ზონების ტოპო გეგმა მასშტაბი 1:25 000.....	37
ნახ № 7. მასაურას სათავე ნაგებობის პირველი სანიტარიული დაცვის ზონის ტოპო გეგმა მასშტაბი 1:1000.....	38
ნახ № 8. მასაურას სათავე ნაგებობების II და III სანიტარიული დაცვის ზონების ტოპო გეგმა მასშტაბი 1:25 000.....	39

ცხრილები

ცხრ. № 1. მდ. ჩაქვისწყლის საშუალო წლიური ხარჯები.....	12
ცხრ. № 2. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მგ) - ქ. ბათუმის მონაცემებით.....	13
ცხრ. № 3. ქ. ბათუმის ჰაერის ფარდობითი ტენიანობის (%).....	13
ცხრ. № 4. ჩაქვისწყლის სათავე ნაგებობის სანიტარიული დაცვის I ზონის საზღვრების წვეროების კოორდინატები (ნახ. 3).....	30
ცხრ. № 5. ყოროლისწყლის სათავე ნაგებობის სანიტარიული დაცვის I ზონის საზღვრების წვეროების კოორდინატები (ნახ. 5).....	31
ცხრ. № 6. ლეჩას სათავე ნაგებობის სანიტარიული დაცვის I ზონის საზღვრების წვეროების კოორდინატები (ნახ. 7).....	31
ცხრ. № 7. ჩაქვისწყლის სათავე ნაგებობის სანიტარიული დაცვის საზღვრების II და III ზონების წვეროების კოორდინატები (ნახ. 4).....	32
ცხრ. № 8. სანიტარიული დაცვის II და III ზონების საზღვრების წვეროების კოორდინატები (ნახ. 6).....	32
ცხრ. № 9. ლეჩას სათავე ნაგებობის სანიტარიული დაცვის საზღვრების II და III ზონების წვეროების კოორდინატები (ნახ. 8).....	33
ცხრ. № 10. სანიტარიული დაცვის ზონებში გასატარებელი სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და მათი შესრულების ვადები.....	42

ილუსტრაციები

ფოტო № 1. ყოროლისწყლის სათავე ნაგებობა.....	18
ფოტო № 2. მასაურას სათავე ნაგებობა.....	19
ფოტო № 3. ხალას სათავე ნაგებობა.....	20

ოქმები

ოქმი № 1.მდინარე ჩაქვისწყლის ქიმიური ანალიზის შედეგები.....22

ოქმი № 2.მდინარე ყოროლისწყლის ქიმიური ანალიზის შედეგები.....23

ოქმი № 3.მდინარე ლეჩას წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები.....24

ოქმი № 4.მდ. ჩაქვისწყლის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები.....25

ოქმი № 5.მდ. ყოროლისწყლის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები.....26

ოქმი № 6.მდ. ლეჩას მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები.....27

შესავალი

ბათუმის წყალმომარაგების წყაროებია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ყოროლისთავსა და მასაურაში ზედაპირული კაშხლური ტიპის წყალამღებების სათავე ნაგებობები. აღნიშნული სათავე ნაგებობები მოწყობილია მდინარეების: ჩაქვისწყალის, ყოროლისწყალისა და მასაურას შუა დინებებში.

ხალაში, ყოროლისთავსა და მასაურაში მოქმედი სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონების (სდზ) პროექტის შედგენის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, „წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები. სანიტარიული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“ (N 297/5) ქ. თბილისი 2001 წ და მისი დამატებები (ბრძანება N 304/ნ ქ. თბილისი 2009 წ; ბრძანება N98/ნ ქ. თბილისი 2010 წ) [5] და შპს „ბათუმის წყალი“-ს კომპანიის ტექნიკური დავალება.

ტექნიკური დავალების თანახმად, შპს გამა კონსალტინგმა“ აღნიშნულ ობიექტებზე ჩაატარა საველე და ჰიდროქიმიური გამოკვლევები. ზედაპირული კაშხლური ტიპის წყალამღებების სათავე ნაგებობებზე ჩატარდა ტოპოგრაფიული აგეგმვა მასშტაბში 1:1000, ტერიტორიების სანიტარიულ-ჰიგიენური მოკვლევა, წყლების ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევა. მიღებული შედეგების კამერალური დამუშავების შედეგად დადგენილი იქნა სანიტარიული დაცვის I, II და III ზონების საზღვრები, განსაზღვრული და დასახული იქნა სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონებში ამკრძალავი და გასატარებელი ღონისძიებები.

ქ. ბათუმის წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი შედგენილია შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ. პროექტის მთავარი კონსულტანტი - ვ. გვახარია. სამუშაოების ხელმძღვანელი - ა. ჯღამაძე; შემსრულებლები: ა. ჯღამაძე, ვ. გვახარია, ბ. ლებანიძე, დ. სოზაშვილი, ა. მაღლაკელიძე, თ. ჯებაშვილი;

1. საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

1.1. ადმინისტრაციული მდებარეობა


საკვლევი ტერიტორიები მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. აჭარა განლაგებულია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დასავლეთიდან მას ემიჯნება შავი ზღვა, სამხრეთით ესაზღვრება თურქეთს. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ბათუმი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი დაახლოებით 2 900 კმ²-ია, მის შემადგენლობაში შედის ექვსი მუნიციპალიტეტი: ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე 342 დასახლებული პუნქტია, მათ შორის: ორი ქალაქი, ბათუმი და ქობულეთი; შვიდი დაბა - მახინჯაური, ჩაქვი, ხულო, შუახევი, ხელვაჩაური, ქედა, ოჩხამური და 333 სოფელი.

ბათუმის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება ხორციელდება შემდეგი ობიექტებით, რომლებიც განთავსებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალასა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების ყოროლისთავისა და მასაურას ტერიტორიებზე განთავსებული კაშხალური ტიპის ზედაპირული წყალამღებიდან.

ნახ № 1. ობიექტის მიმოხილვითი რუკა



1.2. ოროგრაფია

ოროგრაფიულად საკვლევი რაიონი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის მთათა სისტემას. ეს სისტემა იყოფა ორ ძირითად ოროგრაფიულ ერთეულად: დასავლეთით აჭარა-იმერეთისა და აღმოსავლეთით თრიალეთის ქედებად.

აჭარა-იმერეთის ქედი ვრცელდება შავი ზღვიდან მდ. მტკვრის ხეობამდე და თავის მხრივ იყოფა აჭარა-გურიისა და ახალციხე-იმერეთის ქედებად. აჭარა-გურიის ქედი ყოფს მდ. აჭარისწყლის აუზს და მდინარეების - სუფსისა და ნატანების აუზებს.

მთა ხინოს მიდამოებში ქობულეთ-ჩაქვის ქედი აჭარას ყოფს ორ ნაწილად, ზღვისპირა და შიგამთიან აჭარად.

აღმოსავლეთ ნაწილში არსიანის ქედი წარმოადგენს კასპიისა და შავი ზღვების აუზების წყალგამყოფის ნაწილს. არსიანის დიდი ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზეა. საქართველოს ტერიტორიაზე კი წარმოდგენილია ამ ქედის მხოლოდ ჩრდილოეთის ნაწილი. ამ ქედზე მრავალი უღელტეხილია, მათ შორის აღსანიშნავია - გოდერძის უღელტეხილი.

საკვლევი ტერიტორიები განთავსებულია მდინარეების ჩაქვისწყალის, ყოროლისწყალისა და მისი მარცხენა შენაკადის - ლეჩას ხეობებში. აღნიშნული მდინარეები გაედინება ვულკანოგენური ქანების მასივში. ჩაქვისწყალისა და ყოროლისწყალის ხეობები U-ს მაგვარი ფორმისაა, ხოლო ლეჩას ხეობას V-ს მაგვარი ფორმა აქვს.

ხეობების ფერდობები მდინარეული და გვერდითი ეროზიის ზეგავლენით ძლიერ დანაწევრებულია. ფერდობებზე და ხეობების ძირში აღინიშნება საკმაოდ დიდი ზომის ლოდები. ფერდობები დელუვიური წარმონაქმნებითაა დაფარული. ხეობებში მდინარეების კალაპოტისა და ჭალის ნალექები წარმოდგენილია კალუვიონით, დიდი ზომების მქონე ლოდნარითა და კენჭნარებით.

1.3. ჰიდროგრაფია

ბათუმის წყალმომარაგების სათავე ნაგებობები მოწყობილია მდინარეებზე: ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი და მის მარცხენა შენაკადზე - ლეჩა.

მდინარე ჩაქვისწყალი. მდინარე სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, 1295 მ სიმაღლეზე და ჩაედინება შავ ზღვაში. მდინარის სიგრძეა 25,2 კმ, აუზის ფართობი - 176 კმ². მდინარე იკვებება ატმოსფერული ნალექებითა და მიწისქვეშა წყლებით. მდინარეს მთელი წლის განმავლობაში ახასიათებს ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული წყალმოვარდნები. მდინარის საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 10,2 მ³/წმ-ია. მდინარის შენაკადებია: დონისის წყალი, მტირალას წყალი, ხალას დელე, მეჩხერი. სოფელ ხალას ჰიდრომეტრიული საგუშაგოს მონაცემებით, მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯი შეადგენს 9,89 მ³/წმ-ს, მაქსიმალური ხარჯი - 13,4 მ³/წმ-ს, მინიმალური ხარჯი - 4,66 მ³/წმ-ს. დაფიქსირებული მინიმალური ხარჯი - 1,3 მ³/წმ (07-12.09-57 წ), მაქსიმალური ხარჯი - 295 მ³/წმ (12.09-1962 წ).

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ხალას საგუშაგოზე მდინარე ჩაქვისწყალის საშუალო წლიური ხარჯები თვეების მიხედვით.

ცხრ. № 1. მდ. ჩაქვისწყალის საშუალო წლიური ხარჯები

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშუალო წლიური
საშუალო წლიური ხარჯი თვეების მიხედვით, მ ³ /წმ	8,0	9,61	12,7	15,9	9,00	6,02	6,38	6,93	9,24	12,8	11,1	11,0	9,89

მდინარე ჩაქვისწყალის საშუალო წლიური ნატანი შეადგენს 0,35 კმ/წმ-ს, მაქსიმალური - 0,56 კმ/წმ-ია, ხოლო მინიმალური - 0,05 კმ/წმ.

წყლის საშუალო სიმღვრივე შეადგინა 40 გ/მ³, მინიმალურმა - 5,5 გ/მ³, მაქსიმალურმა - 120 გ/მ³.

მდინარე ყოროლისწყალი. მდინარე სათავეს იღებს 1306 მ-ის სიმაღლეზე და ჩაედინება შავ ზღვაში, ბათუმის ბუხტაში. მდინარის აუზის ფართობი შეადგენს 55 კმ²-ს, საშუალო წლიური ხარჯი - 3,8 მ³/წმ-ია.

მდინარე ყოროლისწყალის მარცხენა შენაკადია მდინარე ლეჩა, რომელზეც 1908 წელს მოწყობილი იქნა სათავე ნაგებობა ბათუმის წყალმომარაგებისათვის.

მდინარის ხარჯმა 2018 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით შეადგინა 3,0 მ³/წმ.

1.4. კლიმატი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჰავის თავისებურება განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, მათ შორის მნიშვნელოვანია სუბტროპიკული ადგილმდებარეობა და შავი ზღვის პირდაპირი ზემოქმედება.

აჭარა მიეკუთვნება სუბტროპიკული ჰავის ზონას, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. რეგიონის მიკროკლიმატის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქობულეთ-ჩაქვის ქედს. მისი ზეგავლენით, ზღვის სანაპირო ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, მთიანი აჭარა კი - შედარებით ნაკლებად ტენიანი მთის კლიმატით [7].

ზღვისპირა დაბლობი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 14-14,5 °C -ია, იანვარში 6-7 °C, ზაფხულში კი 22-23 °C. აბსოლუტური მაქსიმუმი აღწევს 40-43°C-მდე.

გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი ხასიათდება ნოტიო ჰავით. ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ხანგრძლივი და თბილი.

საშუალო მთიანი ზონა ხასიათდება ნოტიო ჰავით. ზამთარი ზომიერად ტენიანი და შედარებით ცივია, ხოლო ზაფხული გრილი.

მაღალმთიანი ზონის ჰავა ნოტიოა. ზამთარი შედარებით ცივი და ხანგრძლივია, ზაფხული კი - ხანმოკლე და გრილი.

შავი ზღვა რეგიონისათვის წარმოადგენს სითბოს თავისებურ წყაროს და თბორეგულატორს, რომელიც მოსაზღვრე ხმელეთის ტემპერატურას ზამთარში მაღლა სწევს, ხოლო ზაფხულში დაბლა. კლიმატური პირობების ასეთი თავისებურებითაა განპირობებული აჭარის ბუნების მრავალფეროვნება, რომელიც თითქოს ერთ დიდ ორანჟერეას წარმოადგენს.

რაც შეეხება „მტირალას ეროვნული პარკი“-ს ტერიტორიას, რომელიც საკვლევი უბნების აღმოსავლეთით მდებარეობს, ყველაზე უხვნალექიანი მხარეა და საშუალო წლიური მაჩვენებელი ზღვისპირა ნაწილში 4520 მმ-ზე მეტია. ჰაერის ტენიანობა 80-85%-ს შეადგენს, საშუალო წლიური ტემპერატურა სიმაღლესთან ერთად მერყეობს.

ცხრ. № 2. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მგ) - ქ. ბათუმის მონაცემებით

დასახლებული პუნქტი	თვეები												წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ქ. ბათუმი	281	228	174	122	92	163	182	255	335	306	304	276	2718

ცხრ. № 3. ქ. ბათუმის ჰაერის ფარდობითი ტენიანობის (%)

გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													
დასახლებული პუნქტი	თვე												წლის საშუალო
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბათუმი	76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77	81

1.5 ბიომრავალფეროვნება

უნიკალური და მრავალფეროვანია აჭარის ფლორა და ფაუნა. მცენარეული სამყაროს გამორჩეულობას ის განსაზღვრავს, რომ კოლხეთი გამყინვარების პერიოდში უძველესი რელიქტების თავშესაფარი იყო. ამასთან რელიქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი კოლხური წარმოშობისაა. აჭარის ფლორა მცენარეთა 1700-მდე სახეობას ითვლის, ამასთან საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია 41 სახეობა.

აჭარაში ტყეებს 186 965 ჰა ფართობი უჭირავს. ტყეების 60%-ზე მეტი განლაგებულია ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზემოთ, ხოლო ტყეების 90%-ზე მეტი 20⁰ დაქანების ფერდობზეა. ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი (წიფელა, მუხა) და წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი) ტყეები.

მდინარეების ზოგიერთი ხეობების გასწვრივ, აღმოცენებულ რელიქტურ კოლხურ ტყეებში დომინირებს მურყანი. მათ კორომებს იშვიათად თუ გამოერევა ლაფანი ან ნეკერჩხალი.

საკვლევი ობიექტის აღმოსავლეთით მდებარეობს მტირალას ეროვნული პარკი, რომელიც დაფარულია კოლხური რელიქტური ტყის საფარით, ნოტიო კლიმატის ყველაზე მეტად გამოხატული ზემოქმედების არეში. მტირალას ეროვნული პარკის საერთო ფართობია 15 806 ჰა.

2. რაიონის გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

2.1. გეოლოგიური აგებულება

გეოტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ობიექტის ტერიტორია შედის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონაში, რომელიც თავის მხრივ ეკუთვნის მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემას. ამ ტერიტორიებზე გავრცელებულია შუა ეოცენის (ზედა ნაწილი) და ზედა ეოცენური ნალექები.

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის გეოლოგიური აგებულების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ხაზობრივი განედური ნაოჭების არსებობა. ეს ნაოჭები ზონის ჩრდილოეთ ნაწილში გადაყრავებულია ჩრდილოეთით, სამხრეთ ნაწილში - სამხრეთით, ხოლო ცენტრალურ ნაწილში განვითარებულია ნორმალური ან კოლოფისებრი ანტიკლინები.

2.2. ჰიდროგეოლოგიური პირობები

საკვლევი ტერიტორია საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით შედის აჭარა-იმერეთის ნაპრალოვანი წყლების წყალწნევიანი სისტემის ზონაში [1].

აჭარა-იმერეთის ნაპრალოვანი წყლების წყალწნევიანი სისტემა აგებულია შუა ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნების მძლავრი კომპლექსით (3 კმ). ისინი ფარავენ პალეოცენ-ქვედა ეოცენური ასაკის ფლიშურ და ვულკანოგენურ წარმონაქმნებს (1500 მ). ნაოჭა სტრუქტურების ადრეულმა ასაკმა და აქ გავრცელებული ქანების კლდოვანმა ხასიათმა განაპირობა ძლიერ დანაწევრებული რელიეფის ჩამოყალიბება (300 მ-მდე) და დიდი რაოდენობით მდინარეების ხეობების არსებობა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე გაბატონებულია ნაპრალოვანი ტიპის გრუნტის წყლების გავრცელება, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებულია ვულკანოგენურ-დანალექი და პალეოცენური ასაკის მარდვული ქანების გამოფიტვის ზონებთან.

ფოროვანი ტიპის გრუნტის წყლები ვრცელდება მდინარეების ალუვიონში. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ეს წყლები მტკნარია, ჰიდროკარბონატული კალციუმ-მაგნიუმია და ფართოდ გამოიყენება წყალმომარაგების მიზნით.

მიწისქვეშა ნაკადების წყალსიუხვე განპირობებულია ატმოსფერული ნალექების სიჭარბით (2700 მმ წელიწადში) და უხვი ზედაპირული ჩამონადენით.


პალეოცენის ნალექებში გავრცელებულია ნაპრალოვან-შრეებრივი მიწისქვეშა დაწნევიანი ხასიათის წყლები. გეოლოგიურ-სტრუქტურული პირობებისა და ადგილმდებარეობის მორფოლოგიიდან გამომდინარე ეს ჰორიზონტები წარმოქმნიან წყალწნევიან სისტემებს.

მდინარეების ხეობებში გავრცელებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტები, წარმოდგენილი კაჭარ-კენჭნარით, ქვიშოვანი და თიხოვანი შემავსებლებით. ისინი გამოირჩევიან გავრცელების არეალის შეზღუდული მასშტაბებით,





განპირობებული რელიეფის თავისებურებებით. ეს ქანები უმეტესად, წყალშემცველია, გრუნტის წყლები ჰიდრავლიკურ კავშირშია მდინარეების წყლებთან.

ხეობებში ასევე, ვრცელდება დელუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნები. დელუვიონი წარმოდგენილია თიხნაროვანი წარმონაქმნებით, დიდი რაოდენობის ნამსხვრევოვანი მასალის ჩანართებით. პროლუვიური ნალექები ვრცელდება მდინარეების მცირე და დიდი შენაკადების ფარგლებში. ალაგ-ალაგ ეს ნალექები შეიძლება იყოს გაწყლოვანებული და მათი რეჟიმი დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების პერიოდულობასა და რაოდენობაზე.

ნახ №2.. საკვლევი ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური რუკა. მასშტაბი 1:200000



პირობითი ნიშნები:

	წყალმემცველი ჰორიზონტი, თანამედროვე ალუვიური ნალექები, კაჟარ-კენჭნარი, ქვიშები.
	დაუნაწევრებელი მეოთხეული ნალექების წყალმემცველი ჰორიზონტი, კაჟარ-კენჭნარი, კონგლომერატები, ქვიშები, ქვიშა-თიხნარი.
	სპორადულად გაწყლოვანებული ზღვიური ნალექები, ზედა და შუა მიოცენი. თიხები, ქვიშაქვები, კონგლომერატები. იშვიათად კირქვები, მერგელები.
	ლაგუნურ-ზღვიური წყალგამტარი ნალექები, ქვედა მიოცენი, ოლიგოცენი და შუაეოცენი, თიხა, ქვიშისებრი ჩანართებით.
	წყალმემცველი კომპლექსი, საშუალო ზღვიური, დანალექი ვულკანური ქანები. ტუფობრექჩიები, ტუფები, ანდეზიტების ფენები, ტუფო-ქვიშები, არგელიტები.
	წყალგამტარი კიმერიული თიხიანი ქანები. თიხების შუაშრეებით მერგელები და ქვიშაქვები.
	სპორადულად გაწყლოვანებული ფლიშური ნალექები ქვედა ეოცენი-პალეოცენი. მერგელები, თიხები, იშვიათად ტუფობრექჩიები, ტუფები.
	წყალმემცველი ჰორიზონტი, ზედა ცარცული კარბონატული ნალექები. კირქვები, მერგელები, ტუფობრექჩიები, ტუფოკონგლომერატები, ტუფები.
	სპორადულად გაწყლოვანებული ნალექები ქვედა ცარცული ტერიგენული ფლიშები. ქვიშაქვები, თიხა ფიქლები, იშვიათად მერგელები.
	წყალგამტარი ნასხლექი.
	ჰიდროგეოლოგიური რაიონის საზღვარი.

3. სათავე ნაგებობების დახასიათება, წყლის ხარისხი

3.1. ყოროლისწყლის სათავე ნაგებობა

ყოროლისწყლის სათავე ნაგებობა განთავსებულია მდ. ყოროლისწყლის ხეობაში, სოფელ ყოროლისთავში. მდ. ყოროლისწყალი გაედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთით V-ს მაგვარ ხეობაში, ვულკანური ქანებში. მდინარის კალაპოტი ამოგებულია ფხვიერი, შეუკავშირებელი ნალექებით - კოლუვიონით, დელუვიონითა და ალუვიონით. კალაპოტის ქანები წარმოდგენილია დიდი ზომის (≈ 5 მ-მდე) ვულკანური ქანების ლოდნარით. მდინარის დინების საშუალო სიჩქარეა 1 მ/წმ. ყოროლისწყლის სათავე ნაგებობის ფარგლებში მდინარის სიგანე შეადგენს 10-30 მ-ს. სათავე ნაგებობის აბსოლუტური ნიშნულია 139 მ. სათავე ნაგებობა აგებულია და მოქმედებს 1929 წლიდან. გამოკვლევის ჩატარებისას მდინარის ხარჯმა შეადგინა დაახლოებით 8 მ³/წმ. მდინარის კალაპოტში ხარობს ბუჩქნაროვანი და მცირე ზომის ხეები.

სათავე ნაგებობებზე მდინარის მთელ სიგანეზე მოწყობილია ბეტონის, 4,0 მ სიმაღლის კაშხალი (ფოტო 1). კაშხალით შეგუბებული წყალი ქმნის მცირე ზომის $\approx 4 \times 4$ მ წყალსატევს, საიდანაც წყალი ხვდება 500 მმ დიამეტრის მქონე ლითონის მილში. აქედან წყალი გროვდება წყალშემკრებ კამერაში, საიდანაც 700 მმ დიამეტრის მქონე ლითონის მილით წყალი თვითდენით მიედინება რეზერვუარისაკენ.

სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე განთავსებულია წყალმიმღები ნაგებობები და სხვა მეურნეობა. მომსახურე პერსონალის საპირფარეშო წარმოადგენს ბეტონით იზოლირებულ ორმოს. ტერიტორიაზე არ არის საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების კონტეინერი, საყოფაცხოვრებო ნარჩენები იყრება უშუალოდ მიწის ზედაპირზე, მდინარის ქალაში სანიტარიული დაცვის I ზონის ფარგლებში.

მდინარის მიმდებარე დასახლებული პუნქტებიდან ჩამოსული კანალიზაციის წყალი შემოდის ღია არხით და ხვდება მდინარეში, I ზონის კონტურის შიგნით.

სანიტარიული დაცვის I ზონის მოსაწყობად ჩატარდა ტოპოგრაფიული აგეგმვა, მასშტაბში 1:1000.

მოქმედი მეთოდური მითითებების [6] თანახმად, სათავე ნაგებობის I სანიტარიული ზონის საზღვრები განისაზღვრება შემდეგ კონტურებში (ნახ. 5): სათავე ნაგებობიდან მდინარის ზედა დინებაში 200 მ-ის მანძილზე, ქვევით - 200 მ-ის მანძილზე; მდინარის მარცხენა ნაპირზე (წყლის აღების ადგილიდან) წყლის კიდიდან 100 მ-ის დაშორებით და მოპირდაპირე ნაპირზე, წყლის კიდიდან 50 მ-ის დაშორებით.

სათავე ნაგებობიდან აღებულია წყლის სინჯები ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზებისათვის.

ფოტო № 1. ყოროლისწყალის სათავე ნაგებობა



3.2. მასაურის სათავე ნაგებობა

მასაურის სათავე ნაგებობა აგებულია 1912 წელს. იგი მოწყობილია მდინარე ლეჩაზე, მდინარე ყოროლისწყალის მარცხენა შენაკადზე (ფოტო 2).

სათავე ნაგებობის აბსოლუტური ნიშნულია 207 მ. 2018 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით, მდინარის ხარჯმა შეადგინა საშუალოდ 3 მ³/წმ.

მდინარე გაედინება V-ს მაგვარ ვიწრო ხეობაში. მდინარის კვება ხდება წყაროების მეშვეობით. მდინარეზე მოწყობილია მცირე ზომის (8 მ სიგანისა და 3 მ სიმაღლის) კაშხალი, რომლითაც წყალი შეგუბებულია. შეგუბებული წყალი მარჯვენა ნაპირზე შედის 200 მმ დიამეტრის წყალმიღებ ლითონის მილში. წყლის საშუალო დებიტი შეადგენს $Q = 50$ ლ/წმ-ს.

სანიტარიული დაცვის I ზონის მოსაწყობად ჩატარდა ტოპოგრაფიული აგეგმვა, მასშტაბში 1:1000.

მოქმედი მეთოდური მითითებების [6] თანახმად, სათავე ნაგებობის I სანიტარიული დაცვის ზონის საზღვრები განისაზღვრება შემდეგ კონტურებში (ნახ. 7): სათავე ნაგებობის ზევით 200 მ, ქვევით 100 მ; მდინარის მარჯვენა ნაპირზე წყლის კიდიდან 100 მ-ის დაშორებით და მარცხენა ნაპირზე, წყლის კიდიდან 50 მ-ის დაშორებით.

გამოკვლევების ჩატარებისას აღებულია წყლის სინჯები, სრული ქიმიური და მოკლე მიკრობიოლოგიური ანალიზებისათვის.

სათავე ნაგებობების ტერიტორია სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით მოწესრიგებულია.

ფოტო № 2. მასაურას სათავე ნაგებობა



3.3. ხალას სათავე ნაგებობა

ხალას სათავე ნაგებობა მოწყობილია მდინარე ჩაქვისწყალზე, სოფელ ხალას მიდამოებში. მდ. ჩაქვისწყალი გაედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. მდინარეზე აგებულია კაშხალი სიგრძით 50 მ, ხოლო სიმაღლით - 3 მ. ტერიტორიის აბსოლუტური ნიშნულია 128 მ. ზედა ბიეფში აუზი ამოვსებულია მდინარის მიერ ჩამოტანილი მასალით. კაშხლის გასწვრივ მოწყობილია წყალმიმღები გალერეა, საიდანაც წყალი შემოდის, გროვდება და ჩაედინება მარცხენა ნაპირზე მოწყობილ წყალმიმღებ გალერეაში (ფოტო 3). გალერეაში მოწყობილი 2

საშიბეროს მეშვეობით, წყალი შედის 1200 მმ დიამეტრის მქონე მილში. ამ მილის მეშვეობით წყალი ჩაედინება შემკრებ კამერაში. აქედან იგივე 1200 მმ დიამეტრის მილით წყალი მიედინება სალექარი დანადგარებისაკენ.

წყალამღების საპროექტო წარმადობა 1100 ლ/წმ-ია, ანუ 95 000 მ³/დღ. ნარჩენი წყალი ჩაიღვრება მდინარის კალაპოტში.

გამოკვლევისას (06.02. 18წ.) მდინარის ხარჯი შეადგენდა ≈ 12 მ³/წმ-ს.

ივლის-აგვისტოში აღინიშნება ხარჯის მინიმუმები, მთელი შემოსული წყალი (Q_{min}) უზრუნველყოფს საპროექტო ხარჯს, კალაპოტის დანარჩენი ნაწილი ამ პერიოდში დამშრალია. წყალი სუფთაა.

სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე ჩატარდა სანიტარიული დაცვის I ზონის ტოპოგრაფიული აგეგმვა, მასშტაბით 1:1000.

სანიტარიული დაცვის I ზონის საზღვრები განისაზღვრება: სათავე ნაგებობის კაშხალის ხაზის ზევით 200 მ-ის მანძილზე, ქვევით - 100 მ-ის მანძილზე. მდინარის მარჯვენა ნაპირზე 50 მ და მარცხენა ნაპირზე - 100 მ - ის მანძილზე.

აღებულია წყლის სინჯები, სრული ქიმიური და მოკლე მიკრობიოლოგიური ანალიზებისათვის.

ფოტო № 3. ხალას სათავე ნაგებობა



3.4 სათავე ნაგებობების ზედაპირული წყლების ხარისხი

ხალას, ყოროლისწყალისა და მასაურის სათავე ნაგებობებზე ქ. ბათუმის სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის წყლის აღება წარმოებს ზედაპირული კაშხალური სახით, მდინარეებიდან: ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი და მისი შენაკადიდან ლეჩა.

სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტის შესადგენად ჩატარებულ იქნა მდინარეების წყლის ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევები. სინჯები აღებულ იქნა წყლის აღების წერტილებში.

ჩატარებული ქიმიური გამოკვლევების შედეგები მოყვანილია ოქმებში 1,2,3.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით გამოკვლეული წყლები, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-მაგნიუმ-კალციუმიანია (ყოროლისწყალი, ლეჩა) და მაგნიუმ-კალციუმიანია (ჩაქვისწყალი). წყლები ულტრამტკნარია, მინერალიზაციით 0,054-0,068 მგ/ლ, წყლის სიხისტე - 0-0,3 მგ-ექვ/‰-ია. ძირითადი იონების შემცველობა შემდეგია: კალციუმი (Ca^{2+}) - 5-6 მგ/ლ, მაგნიუმი (Mg^{2+})- 1-2 მგ/ლ, ნატრიუმი (Na^+)- 1-2 მგ/ლ, ჰიდროკარბონატები (HCO_3^-) - 24-36, ქლორიდები (Cl^-)- 5-6 მგ/ლ.

